



ეროვნული თავდაცვის აკადემია
NATIONAL DEFENCE ACADEMY

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიაში
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების
ინდიკატორები და შეფასების წესი

გორი
2018 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების შეფასების პროცესს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს აკადემიაში საგანმანათლებლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, ვითარების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მათ საფუძველზე პროგრამის შემდგომი სრულყოფა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების შეფასება (შემდგომში - შეფასება) ხდება შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით:

- ა) პროგრამის იუნკერების რაოდენობა (საერთო რაოდენობა, აქტიური, სტატუსშეჩერებული), მამრობითი, მდედრობითი, სოციალურად მოწყვლადი, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული;
- ბ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის/მოწვეული სპეციალისტების/მასწავლებლების/ინსტრუქტორების რაოდენობა;
- გ) პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე იუნკერებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა;
- დ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის/მოწვეული სპეციალისტების/მასწავლებლების/ინსტრუქტორების თანაფარდობა;
- ე) პროგრამის მონაწილე იუნკერების გამოკითხვის შედეგები;
- ვ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების/ინსტრუქტორების გამოკითხვის შედეგები;
- ზ) პროგრამის კომპონენტებში იუნკერების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- თ) პროგრამის იუნკერების სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი (შიდა მობილობის მაჩვენებელი);
- ი) პროგრამის იუნკერების მობილობის/შიდა მობილობის მაჩვენებელი (პროგრამიდან გადასვლის და/ან პროგრამაზე გადმოსვლის მაჩვენებელი);
- კ) პროგრამაზე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
- ლ) პროგრამაზე ჩარიცხული იუნკერებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა;
- მ) პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA);
- ნ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შეფასება (არსებობის შემთხვევაში);
- ო) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფებში დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- პ) პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ჟ) პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი;

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი

1. აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ორგანიზებას ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური .

2. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ:

ა) იუნკერები;

ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური, აკადემიური პერსონალი/მოწვეული სპეციალისტები/მასწავლებლები/ინსტრუქტორები;

გ) გარე ექსპერტები (მათ შორის უცხოელი ექსპერტები);

დ) დამსაქმებლები;

ე) პროგრამის კურსდამთავრებულები;

ვ) საჭიროების შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და სხვა.

3. პროგრამის შეფასების პროცესში იუნკერთა მონაწილეობა შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) იუნკერთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარის შევსებას;

ბ) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას;

გ) ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობას;

დ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ.

4. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ბ) მონაწილეობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში;

გ) შეფასების დაგეგმვას, მეთოდოლოგიის განსაზღვრას და შეფასების ორგანიზებას ;

დ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ.

5. გარე ექსპერტების შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასთან დაკავშირებულ განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობას ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალურ შეფასებას;

დ) მოწვეული ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებას.

6. პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) პროგრამის მონაწილე იუნკერების/კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის, შრომის ბაზრისთვის მათი მომზადების დონის შეფასებას. კერძოდ, ისინი შეიძლება აფასებდნენ იუნკერთა და კურსდამთავრებულთა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკაში მისი გამოყენების

უნარებს, მონაწილეობას იღებდნენ შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში; შეფასება შეიძლება განხორციელდეს:

- ა) შეფასებადი აქტივობებით;
- ბ) კითხვარების საშუალებით;
- გ) ინტერვიუს გზით;
- დ) იუნკერთა დახასიათებით;
- ე) იუნკერთა სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებების, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასებით და სხვ.

7. პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამას შეიძლება აფასებდნენ:

- ა) კითხვარების საშუალებით;
- ბ) ინტერვიუს გზით და სხვ.

8. პროგრამის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებენ აკადემიის შესაბამისი კომპეტენციის სტრუქტურული ერთეულები აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით.

9. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

10. პროგრამის შეფასების შედეგად აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები შეიმუშავენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

11. პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს. საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები ხორციელდება და მტკიცდება დადგენილი წესის შესაბამისად არაუგვიანეს სწავლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

მუხლი 4 . საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

- 1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- 2. სწავლის შედეგების შეფასება უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; უნდა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც იუნკერების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
- 3. შესაძლებელია სწავლის შედეგები ჩაიშალოს შესრულების ინდიკატორებად(performance indicators); შესრულების ინდიკატორი არის კონკრეტული, გაზომვადი ერთეული, რომელიც განსაზღვრავს იუნკერის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო შესრულებას, ქმედებას;
- 4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალთან, ინსტრუქტორებთან და მასწავლებლებლებთან ერთად.

5. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესის მონიტორინგს ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შესაბამისად.
7. პროგრამის შესაფასებლად საჭიროა ჩატარდეს მუშაობა, რათა გამოჩნდეს კავშირი პროგრამის მიზნებს, შედეგებს, სასწავლო კურსების შინაარსსა და შეფასების მეთოდებს შორის, შემუშავდეს კურიკულუმის რუკა და განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები.
8. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდგომ უნდა ხდებოდეს ანალიზი და მისი გაცნობა რექტორისთვის, რექტორის მოადგილეებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელისთვის და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირებისათვის.
9. პროგრამის სწავლის შეფასების ანალიზი უნდა გამოიყენებოდეს პროგრამის გაუმჯობესებისათვის და შესაძლოა დადგეს პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირების საჭიროება. ამ შემთხვევაში, უნდა გაიწეროს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებების გეგმა, დამტკიცდეს შესაბამის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოზე და ინფორმაციისთვის გადაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
10. სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შემდეგ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოსთვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარმოდგენილ უნდა იყოს განხორციელებული ცვლილებების ანგარიში და ცვლილებების შედეგად მიღწეული შედეგების შეფასების გეგმა.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები

1. სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;
2. პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია წერთი გამოცდა, პროექტზე მუშაობა, პორტფოლიო, თეზისი, შესრულების შეფასება და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, იუნკერების გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, შედარება მსგავს ინსტიტუციების მსგავს პროგრამასთან და სხვა.
3. პირდაპირი შეფასება უზრუნველყოფს იუნკერის ცოდნის ან უნარების პირდაპირ დაკვირვებას ან შესწავლას გაზომვადი სწავლის შედეგებთან შედარებით. არაპირდაპირი შეფასება განსაზღვრავს იუნკერის მიერ სასწავლო გამოცდილების ხარისხის ან ღირებულებების შესახებ მოსაზრებას ან თვითმოხსენებას.
4. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების, ინსტრუქტორების მიერ უნდა შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა და სხვ. შემუშავებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გაიწეროს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (გეგმაში უნდა ჩანდეს როდის და რა დავალებით ვაფასებთ ამა თუ იმ სწავლის შედეგს, რამდენი იუნკერის შეფასება ხდება და სხვა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით).
5. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის მიხედვით შეფასება ხდება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამის დასრულების შემდეგ/ან იმ სემესტრის ბოლოს სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი;
6. სწავლის შედეგების შეფასებისას ფასდება იუნკერთა ნაშრომები, ხდება შესრულებაზე დაკვირვება, და სხვ.

7. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს რუბრიკა- კლასიფიცირების ინსტრუმენტი, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს იუნკერების მიღწევების კლასიფიცირებისას. თითოეული რუბრიკა უნდა მოიცავდეს კრიტერიუმების ნაკრებს და ამ კრიტერიუმებთან დაკავშირებულ ნიშნებს/ქულებს ან დონეებს.

8. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ უნდა იყოს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები; უნდა ხდებოდეს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

მუხლი 6 . სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება(იგივე გაუსის განაწილება); ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- კრედიტების/საათების განაწილება დროში;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- თემატიკა;
- მოცულობა;
- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

მუხლი 7. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

I წელი - პროგრამის შედეგების განსაზღვრა, კურიკულუმის რუკის და შეფასების გეგმის შედგენა;

II წელი - მონაცემების შეგროვება;

III წელი - შედეგების შეფასება და გაუმჯობესების დაგეგმვა;

IV წელი - საგანმანათლებლო პროგრამებში გაუმჯობესების განხორციელება და მონაცემების შეგროვება.